European Bank for Reconstruction and Development

ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი	45956
ბიზნესის სექტორი:	მუნიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა
შეტყობინების ტიპი:	სახელმწიფო
გარემოს დაცვის კატეგორია:	B
დამტკიცების თარიღი:	20 მარტი 2024
სტატუსი:	ხელმოწერილი
PSD--ის გაზიარების თარიღი:	25 სექტემბერი 2014

პროექტის აღწერა

სახელმწიფო სესხის გაზრდა 6 მილიონ ევრომდე ქვემო ქართლის რეგიონში ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რეგიონალური სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობის დაფინანსების შევსების და შესაბამისი ნაგავსაყრელის სამუშაოებისთვის სპეციალიზებული აღჭურვილობის შესყიდვის მიზნით („პროექტი“).

7 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხის შეთანხმებას ხელი თავდაპირველად 2015 წელს მოეწერა (ორ ტრანშად) ქვემო ქართლის რეგიონში ნაგავსაყრელისა და სპეციალიზებული აღჭურვილობის შესყიდვის დასაფინანსებლად, რომლის დაფინანსებასაც ბანკი გააგრძელებს, ხოლო დამატებით ინფრასტრუქტურას მარნეულის მუნიციპალიტეტში ამჟამად საქართველოს მთავრობა დააფინანსებს.

პროექტის განახლებული სტრუქტურიდან გამომდინარე, EBRD-ის დაფინანსება ორ ტრანშად

არის გათვალისწინებული: 4.3 მილიონი ევრო 2015 წელს გაცემული თავდაპირველი სესხიდან და 6 მილიონი ევრო 2024 წლის გაზრდილი სესხიდან.

პროექტის მიზნები

პროექტი მიზნად ისახავს მყარი ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვას, რაც მოიცავს მუნიციპალური მყარი ნარჩენების შეგროვებას და ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამის განთავსებას. მოსალოდნელია, რომ ქვემო ქართლის რეგიონში დაახლოებით 300,000 ადამიანი ისარგებლებს გარემოს დაცვისა და სოციალური ვითარების საგრძნობი გაუმჯობესებით. პროექტი ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ნაწილია და არის უფრო ფართო პროგრამის ნაწილიც, რომელიც მიზნად ისახავს დაეხმაროს ქვეყანას შეასრულოს ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელსაც ხელი მოეწერა 2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის და რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს ქვეყანაში მყარი ნარჩენების მართვის გაუმჯობესების ვალდებულებებს.

შუალედური შედეგი

ETI ქულა 60

მწვანე: პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში ნარჩენების მართვის თანამედროვე გადაწყვეტილებების დანერგვას, რომლებიც ეკოლოგიურ გამოწვევებს გადაწყვეტს მდგრადი და ხარჯთეფექტური გზებით.

გამძლე: პროექტი ხელს შეუწყობს ჯანსაღი ფინანსური და კომერციული პრინციპების გამოყენებას და ახალი ნაგავსაყრელის შესაბამის ფუნქციონირებას.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

საქართველოს მთავრობა

მსესხებელი არის საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს სახით.

პროექტს ახორციელებს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია („კომპანია“)

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

10,300,000.00 ევრო.

პროექტის მთლიანი ღირებულება

13 300 000.00 ევრო

პროექტი თანადაფინანსებულია შვედეთის მიერ გამოყოფილი 3.0 მილიონი ევროს ოდენობის გრანტით.

ასევე, ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება დახმარება პროექტის მომზადებისა და განხორციელების მხარდასაჭერად.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

პროექტს მიენიჭა კატეგორია B 2019 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად. საწყისი გარემოს დაცვის და სოციალური შეფასება ჩატარდა 2008 წელს. სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა განხორციელდა COWI Consulting-ის მიერ 2014 წელს ხელმისაწვდომი ვარიანტების შესაფასებლად რეგიონში არსებული ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური პირობების გათვალისწინებით. კვლევაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ყველაზე უმჯობესი მარნეულის მუნიციპალიტეტში ერთი ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა იქნებოდა, სადაც მოხდებოდა ნარჩენების მიტანა და განთავსება თითოეული მუნიციპალიტეტიდან, რადგან ეს იყო ეკონომიკურად ყველაზე მომგებიანი ვარიანტი გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც ყველა კომპეტენტურმა ორგანომ განიხილა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ("გზშ" ან EIA) ანგარიში. მთავრობის გადაწყვეტილების გამო, რომ შერჩეული პროექტის ტერიტორიის მახლობლად არსებული სამხედრო აეროდრომი სამოქალაქო აეროპორტად გარდაექმნა, აეროპორტის ირგვლივ ბუფერული ზონა გაიზარდა 13 კმ-მდე, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაცია („ICAO“). დადგინდა, რომ თავდაპირველად შერჩეული ახალი რეგიონალური სანიტარული ნაგავსაყრელის მდებარეობა ნაწილობრივ ემთხვეოდა ახალ ბუფერულ ზონას და, შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა ICAO-ს რეგულაციებს. 2017 წლის ივლისში საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ქვემო ქართლის ნაგავსაყრელისთვის ახალი ადგილის შერჩევა. ამრიგად, ადრე გამოვლენილი ალტერნატიული ადგილები ხელახლა იქნა განხილული და შემუშავდა ახალი ეროვნული გზშ.

გზშ-მ აღწერა პროექტი, განხილული ალტერნატივები, გამოავლინა პოტენციური ზემოქმედება და შეაფასა მათი პოტენციური ზეგავლენა, და რეკომენდებული შემარბილებელი ზომები ამ ზემოქმედების შესამცირებლად. გზშ-ის ეროვნული სტანდარტების შესაბამისად შემუშავებისას, ჩატარდა დამატებითი ხარვეზების ანალიზი EBRD-ის პროექტის შეფასების დროს, რის შედეგადაც განახლდა გზშ დამატებითე საბაზისო და ზემოქმედების მონაცემებით, შემუშავდა გარემოს დაცვისა და სოციალური მართვის გეგმა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა ("SEP") და გარემოს დაცვისა და სოციალური სამოქმედო გეგმა ("ESAP"), რომელიც განიხილა ბანკმა.

ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა დააკმაყოფილებს ევროკავშირის ნაგავსაყრელის დირექტივის დიზაინის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს მნიშვნელოვან გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სარგებელს ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და განადგურების სერვისების რეაბილიტაციის გზით, და ასევე, გაზრდის საოპერაციო ეფექტიანობას და გააუმჯობესებს გარემოს დაცვისა და ჰიგიენურ სტანდარტებს.

ახალი ნაგავსაყრელის ქვეშ არსებული ბუნებრივი პირობები უზრუნველყოფს დაბალი გამტარიანობის თიხის ბარიერს და დაბალი ხარისხის მცირე მიწისქვეშა წყლებს. ამ ყოველივეს შედეგი, დაპროექტებულ თიხის ბარიერისა და მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის საფარის შემოთავაზებულ მშენებლობასთან ერთად, იქნება ორმაგი საფარის მქონე ნაგავსაყრელი, რაც შეამცირებს მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების რისკს და უზრუნველყოფს ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობას.

პროექტის განხორციელების შედეგად დაიხურება საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ოპერირების ქვეშ არსებული ოფიციალური ნაგავსაყრელები. ეს პროცესი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზოგადოებისა და თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის ("H&S"), არამედ გარემოს დაცვის თვალსაზრისითაც. ამ ნაგავსაყრელების დახურვა არ დაფინანსდება EBRD-ის მიერ, მაგრამ სავალდებულო იქნება ბანკის დაფინანსების ხელშეკრულებების შესაბამისად.

ნაგავსაყრელის დეტალური დიზაინის მომზადების პროცესში მოხდა ნარჩენების განთავსების ადგილთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება. ეს პრაქტიკა ეფუძნება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილებას. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ნარჩენების განთავსების ადგილი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ რეგლამენტს „ნაგავსაყრელების მშენებლობის, ექსპლუატაციის, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ (დადგენილება N421, საქართველოს მთავრობა), რომელიც მორგებულია ევროკავშირის დირექტივას - 99/31/EC. ნარჩენების განთავსების ადგილისთვის შემუშავებული ტექნიკური პროექტი სრულად შეესაბამება ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

ESAP მომზადებულია, რომ მოიცვას იდენტიფიცირებული გარემოს დაცვისა და სოციალური ("E&S") საკითხებისა და ზემოქმედების რეაგირების გზები პროექტის მომზადების, მშენებლობისა და ოპერირების დროს, რათა პროექტი აკმაყოფილებლდეს ბანკის მოთხოვნების. ESAP-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს შორისაა:

• E&S მართვის გეგმის შემუშავება და განახლება, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებები;

• ნიადაგის რეკულტივაციის გეგმის შემუშავება;

• ნარჩენების მართვის ეროვნული და ევროკავშირის სტანდარტების დაცვა, ნარჩენების მიწაზე განთავსება და მონიტორინგი. H&S მართვის სისტემის შემუშავება და შესაბამისი E&S რესურსების გამოყოფა ESAP-ის განხორციელებისა, და სხვა მართვის გეგმებისთვის;

• პროექტის დიზაინის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის H&S-ზე ზემოქმედების იდენტიფიცირება და მართვა;

• ობიექტის დახურვისა და დახურვის შემდგომი მოვლის გეგმის შემუშავება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;

• SEP-ის დანერგვა და ოპერირებადი საჩივრების მექანიზმის დანერგვა ყველა ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის

ESAP შეთანხმებულია კომპანიასთან. კომპანია აქვს ვალდებულება ბანკს მიაწოდოს ყოველწლიური გარემოს დაცვისა და სოციალური ანგარიშები, მათ შორის, ESAP-ის განხორციელებასთან დაკავშირებული სიახლეები. ბანკი, საჭიროებისამებრ, განახორციელებს მონიტორინგის ვიზიტებს და უზრუნველყოფს დასრულების აუდიტის შესრულებას.

ტექნიკური თანამშრომლობა

პროექტი მოიცავს შემდეგი სახის ტექნიკური თანამშრომლობის ("TC") დავალებებს:

- **პროექტის მომზადების TC, მათ შორის ტექნიკური, გარემოს დაცვისა და სოციალური კვლევა,** დაფინანსებული შვედეთის მიერ.
- **გარემოზე ზემოქმედების შეფასება,** დაფინანსებული შვედეთის მიერ.
- **პროექტის განხორციელების მხარდაჭერა,** დაფინანსებული შვედეთისა და მსესხებლის მიერ ბანკის სესხის თანხებიდან.
- **კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის პროგრამები,** დაფინანსებული შვედეთის მიერ.

დამატებითი ფაქტორები

EBRD უზრუნველყოფს დაფინანსებას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ბაზარზე კომერციული წყაროებიდან გონივრული პირობებით. გარდა ამისა, ბანკის გრძელვადიანი თანამშრომლობა ხელისუფლებასთან და სექტორში არსებული ცოდნა და გამოცდილება საშუალებას მისცემს მას, რომ განავრცოს დიალოგი მაღალი ხარისხის სტანდარტების გამოსაყენებლად.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

თორნიკე ისაკაძე
t.isakadze@waste.gov.ge
(+995 32) 2 43 88 30
http://waste.gov.ge/
საქართველო, თბილისი 0186, პოლიტკოვსკაიას ქ #14

განხორციელების მოკლე მიმოხილვა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ახალი, ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი სანიტარული ნაგავსაყრელის პროექტზე მუშაობა 2023 წლის დეკემბერში სამშენებლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაიწყო. სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2024 წლის დასაწყისში, ხოლო მშენებლობის დასრულება და ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში შესვლა დაგეგმილია 2026 წელს. ობიექტი მოემსახურება ქვემო ქართლის ხუთ მუნიციპალიტეტს და ჩაანაცვლებს არასტანდარტულ ნაგავსაყრელებს თანამედროვე ნარჩენების მართვის სტანდარტებით.

გარდაქმნის ეფექტი
დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას. EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:
ტელ: +44 20 7338 7168
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement.
ტელ.: +44 20 7338 6794
ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.
გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და PR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, ასევე, შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.
დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა
EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის
პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში
ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. ბანკი თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური

საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.
OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. თითოეულ ასეთ შემთხვევაში, OCCO დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.
კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)
თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან
უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).
IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური
და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა
ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური
პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ
პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს
რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის
აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.
გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით ipam@ebrd.com, რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.